2012-2013 სასწავლო წლისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის დოქტორანტურის საფეხურზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის მეორე პუნქტის, აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 26 ივლისის №43 სხდომის ოქმით დამტკიცებული უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს 2012 წლის 12 ივლისის სხდომის №15 ოქმის და საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის 2012 წლის 19 ივლისის №03-8525/12 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მიღება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

ა) დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამა (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია) – 10 ადგილი.

ბ) ფიზიკისა და ასტრონომიის სადოქტორო პროგრამა (ელემანტარულ ნაწილაკთა ფიზიკა და კოსმოლოგია; თეორიული ასტროფიზიკა; ასტრონომია და ასტროფიზიკა; კოსმოლოგია; მზის ფიზიკა; ატმოსფეროსა და იონოსფეროს ფიზიკა; ბიოფიზიკა; კულტურული ასტრონომია და არქეოასტრონომია) – 20 ადგილი.

2. საინჟინრო ფაკულტეტის დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველებმა ბრძანების გამოქვეყნებიდან 2012 წლის 3 სექტემბრის ჩათვლით 18.00 საათამდე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ.3/5) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ)აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ან ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ დიპლომი ჯერ გაცემული არა არის.

გ) ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დ) იმ შემთხვევაში თუ სწავლის გაგრძელების მსურველს მაგისტრატურის საფეხური დამთავრებული აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ, შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტთან - დიპლომთან ერთად მისაღები ეტაპების გავლის შემდეგ ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ.

3. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველებს, გარდა ამ ბრძანების მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული პირებისა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია, წერილობითი გამოცდა ინგლისურ ენაში ჩაუტარდებათ 2012 წლის 15 სექტემბერს.

4. ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც რეგისტრაციის დროს წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადატურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს და ასევე ის პირები, რომლებსაც ინგლისურ ენაზე აქვთ გავლილი ბაკალავრიატის და/ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი ევროპაში ან/და ამერიკის შეერთებულ შტატებში და რეგისტრაციის დროს წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტაციას.

5. ინგლისური ენის წერილობითი გამოცდის შედეგები გამოქვეყნდეს 2012 წლის 19 სექტემბერს.

6. იმ კანდიდატთათვის, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ინგლისური ენის გამოცდა, გასაუბრება ჩატარდეს 2012 წლის 20 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით.

7. გასაუბრების შედეგები გამოქვეყნდეს 2012 წლის 26 სექტემბერს.

8. გასაუბრების შედეგად გამოვლენილი წარმატებული კანდიდატები უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტში, მის: ჩოლოყაშვილის გამზ 3/5, E კორპუსი, ოთახი №242/241, 2012 წლის 26 და 27 სექტემბერს და თან უნდა იქონიონ შემდეგი საბუთები:

ა) პირადობის მოწმობა, ან პასპორტი - ორიგინალი;

ბ)აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი-

ორიგინალი ან აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა მაგისტრის ხარისხის მინიჭების შესახებ (თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის) - ორიგინალი;

გ) ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი - ორიგინალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასევე იმ პირებმა, რომლებსაც ინგლისურ ენაზე აქვთ გავლილი ბაკალავრიატის და/ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი ევროპაში ან/და ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა წარმოადგინონ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის ორიგინალები.

დ) იმ შემთხვევაში თუ სწავლის გაგრძელების მსურველს მაგისტრატურის საფეხური დამთავრებული აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ, შესაბამისი ხარისხის დამადასტურებლ დოკუმენტთან - დიპლომთან (ორიგინალი) ერთად უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი(ორიგინალი)- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ.

9. საინჟინრო ფაკულტეტს დაევალოს 2012 წლის 28 სექტემბერს მიაწოდოს რექტორს იმ პირების სია, რომელთაც გააფორმეს ხელშეკრულება მათი ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოსაცემად.

10. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

11. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

12. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საინჟინრო ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

რექტორი **გიგი თევზაძე**